მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე

სხდომის ოქმი N14

ქ.წალენჯიხა 12 ივლისი 2017 წელი

სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს თავმჯდომარე თემურ ღვინჯილია

საკრებულოს 28 წევრიდან სხდომას ესწრებოდა 20 დეპუტატი: გონერ კვარაცხელია, ვლადიმერ გაბელია, ანზორ ფიფია, ილია გულუა, ვახტანგ ქუჩულორია, მერაბ კვარაცხელია, დავით ბელქანია, ლევან ფიფია, მარინა კალანდია, ნონა კვარაცხელია, ივერ კვარაცხელია, ვლადიმერ კვარაცხელია, ცოტნე მესხია, ელგუჯა მესხია, ბაჩუკი უბილავა, მალხაზ ფიფია, დავით ფიფია, ლევან შელია, კახაბერ ციმინტია.

სხდომას აგრეთვე ესწრებოდნენ: წალენჯიხის მუნიციპალიტეტის გამგებელი ბესიკ ფარცვანია , წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის, მუნიციპალიტეტის გამგეობის სამსახურების წარმომადგენლები.

სხდომა დაიწყო: 12:00სთ.
სხდომა დასრულდა: 12:35 სთ.

სხდომის თავმჯდომარემ თემურ ღვინჯილიამ სხდომა გახსნილად გამოაცხადა და საკრებულოს წევრებს გააცნო საკრებულოს სხდომის დღის წესრიგი.
საკრებულოს წევრებს წარმოდგენილი საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტის მიმართ შენიშვნა ან დამატება არ დაუფიქსირებიათ.

დღის წესრიგი:

1. „წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 28 დეკემბრის N33 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

   გამგებლის მიერ მომხსენებლად დანიშნული პირი: კორნელ კვარაცხელია - გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი.
2. წალენჯიხის მუნიციპალიტეტში „საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრის“ახალი ოფისების (ქ. წალენჯიხასა და ქ.ჯვარში) მშენებლობის პროექტების მოწონების თაობაზე.

   გამგებლის მიერ მომხსენებლად დანიშნული პირი: ჯემალ კვარაცხელია - გამგეობის ინფრასტრუქტურის, ურბანიზაციისა და მშენებლობის სამსახურის უფროსი.

მოისმინეს: 1 „წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 28 დეკემბრის N33 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

საკითხი წარმოადგინა გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა კორნელ კვარაცხელიამ.

საკითხთან დაკავშირებით საკრებულოს წევრებს განსხვავებული აზრი არ დაუფიქსირებიათ.

სხდომის თავმჯდომარემ ბ–ნ თ. ღვინჯილიამ მიზანშეწონილად ჩათვალა საკითხთან დაკავშირებით წარმოდგენილ დადგენილების პროექტზე კენჭისყრა.

ღია კენჭისყრაზე ერთხმად (მომხრე 20 დეპუტატი, წინააღმდეგი არცერთი) მიღებულიქნა შესაბამისი დადგენილება (N21) .

მოისმინეს: 2. წალენჯიხის მუნიციპალიტეტში „საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრის“ახალი ოფისების (ქ. წალენჯიხასა და ქ.ჯვარში) მშენებლობის პროექტების მოწონების თაობაზე.

საკითხი წარმოადგინა გამგეობის ინფრასტრუქტურის, ურბანიზაციისა და მშენებლობის სამსახურის უფროსმა ჯემალ კვარაცხელიამ.

საკითხთან დაკავშირებით საკრებულოს წევრებს განსხვავებული აზრი არ დაუფიქსირებიათ.

სხდომის თავმჯდომარემ ბ–ნ თ. ღვინჯილიამ მიზანშეწონილად ჩათვალა საკითხთან დაკავშირებით წარმოდგენილ განკარგულების პროექტზე კენჭისყრა.

ღია კენჭისყრაზე ერთხმად (მომხრე 20 დეპუტატი, წინააღმდეგი არცერთი) მიღებულიქნა შესაბამისი განკარგულება (N31) .

ამით საკრებულოს სხდომამ მუშაობა დაასრულა.

სხდომის თავმჯდომარე: თ. ღვინჯილია